გრასის
დეზინფორმაციის
ბრიფი

მონიტორინგის პერიოდი:

23-29 იანვარი

GRASS
REFORMANDA

- **საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა დატოვა;**
- **„ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული „ხალხის ძალის“ მტკიცებით, ოპოზიციურ პარტიებს „გლობალური ომის პარტია“ მართავს და უნდა გასამართლდნენ;**
- **ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ოპონენტები ქართულ ეკლესიას გამიზნულად ესხმიან თავს და მზად არიან, საქართველო რუსეთთან ომშიც ჩაითრიონ;**
- **პროკრემლინურმა პროპაგანდამ კობახიძის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა კონსერვატიულ ფასეულობებზე თავდასხმად შეაფასა;**
- **პროპაგანდა მოსკოვს აქებს და აცხადებს, რომ საქართველოსთვის საუკეთესო ალტერნატივა რუსეთთან მოკავშირეობაა;**
- **პრორუსული პროპაგანდა მმართველი პარტიის რიტორიკით სარგებლობს, ირწმუნება, რომ USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამების მიზანი საქართველოსთვის ძირის გამოთხრაა.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პოსტი დატოვა

გასულ თვეს პოლიტიკაში ოფიციალურად და ღიად დაბრუნების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი და ირაკლი კობახიძე თავიანთ პოზიციებს, როგორც პრემიერ-მინისტრი და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, შეინარჩუნებდნენ (მეტი ინფორმაცია გრასის დეზინფორმაციის ბრიფის წინა გამოშვებაში). თუმცა 29 იანვარს ირაკლი ღარიბაშვილმა ოფიციალურად გააჟღერა გადაწყვეტილება, რომ თანამდებობას დატოვებდა. „პოლიტსაბჭოში განვიხილეთ შესაძლებლობა, რომ ზაფხულამდე, საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე დავრჩენილიყავი, თუმცა ვარჩიე, ახლა მიმეღო ეს გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანია, რომ შემდეგმა პრემიერმა დროულად წარადგინოს თავისი გუნდი,“ - განაცხადა ღარიბაშვილმა. გადაწყვეტილების უმთავრეს მიზეზებად მან შიდაპარტიული დემოკრატია და როტაციის აუცილებლობა დაასახელა. მისი თქმით, გუნდში მრავალი წარმატებული ლიდერია და საჭიროა, სხვებსაც მიეცეთ შესაძლებლობა.

„ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი კობახიძე ოფიციალურად 1 თებერვალს გამართულ ყრილობაზე წარადგინა (მეტი ინფორმაცია გრასის დეზინფორმაციის ბრიფის მომდევნო გამოშვებაში).

„ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული „ხალხის ძალის“ მტკიცებით, ოპოზიციურ პარტიებს „გლობალური ომის პარტია“ მართავს და უნდა გასამართლდნენ

ევროპული კომისიის გაფართოების ანგარიშში ხაზგასმულია დეზინფორმაციული ნარატივი, რომლის თანახმადაც, დასავლეთი საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას განიზრახავს. ევროკავშირმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, უფრო აქტიურად ემუშავა აღნიშნული დეზინფორმაციის ჩახშობაზე.

მიუხედავად ამისა, 23 და 24 იანვარს მოძრაობა „ხალხის ძალამ“ გამოაქვეყნა ორი განცხადება, რომლებშიც „გლობალურ ომის პარტიას“ გამოეხმაურნენ.
მოძრაობა „ხალხის ძალის“ 24 იანვრის განცხადებით, „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, „ლელოს“, „საქართველოსთვის“, „სტრატეგია აღმაშენებელს“, „ევროპულ საქართველოს, „გირჩი - მეტ თავისუფლებას“, „დროასა“ და „ლეიბორისტულ პარტიას“ აერთიანებს, „გლობალური ომის პარტიის“ აგენტები არიან და ჩადენილი დანაშაულებისთვის უნდა გასამართლდნენ, მათ შორის „ადამიანების წამების, ბიზნესის რეკეტის, ტელევიზიების მიტაცების, ქვეყნის ტერიტორიების რუსეთისთვის ჩაბარებისა და მრავალი სხვა დანაშაულისთვის“. განცხადების თანახმად, ეს აგენტები მზად არიან, ნებისმიერი დავალება შეასრულონ, რომლებმაც შესაძლოა, საქართველო ომში ან უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში გახვიონ და სუვერენიტეტიც კი დააკარგვინონ. ავტორი ირწმუნება, რომ ოპოზიციური პარტიები ერთი ცენტრიდან იმართებიან და კოორდინირდებიან და საქართველოს „უკრაინიზაციის“ დავალებაც უკვე შესრულებული ექნებოდათ, მმართველ პარტიას სწორი პოლიტიკით ქვეყნის ეროვნული ინტერესები რომ არ დაეცვა.
განცხადებაში აღნიშნულია, რომ „წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა“ ანგარიშში ინდივიდუალური მკურნალობის გეგმებში არსებულ ხარვეზებს, მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის სიმწირესა და უსაფრთხოების გადაჭარბებულ ზომებს სწორედ „გლობალური ომის პარტიის“ დავალებით გაუსვა ხაზი. „ყველას გვახსოვს, რომ „გლობალურმა ომის პარტიამ“ სააკაშვილის დასახსნელად, თავის დროზე, ლამის მთელი თავისი ევროპული აგენტურა ფეხზე დააყენა“, - აღნიშნულია განცხადებაში. თუმცა „გლობალური ომის პარტია“ მიხვდა, სააკაშვილი რომც გაათავისუფლონ ციხიდან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში მაინც ვერ მოიპოვებს საკმარის მხარდაჭერას. აქედან გამომდინარე, ყურადღება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილზეა გადატანილი, რათა ის „ლელოს“ მიუერთონ და 5-პროცენტიანი ბარიერი გადაალახინონ.
განცხადების მიხედვით, „გლობალური ომის პარტია“ პარალელურად ნიკა გვარამიასა და ნიკა მელიას გაერთიანებაზეც მუშაობს. თუმცა თუ ამ ალიანსს 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვისთვის საკმარისი მხარდაჭერა არ აღმოაჩნდება, მათაც ზურაბიშვილისა და „ლელოს“ ალიანსში გააერთიანებენ.
საბოლოო ჯამში, განცხადება ირწმუნება, რომ „გლობალურმა ომის პარტიამ“ მხარი დაუჭირა ნებისმიერ პარტიას, რომელმაც „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ალტერნატიულ ძალად, მესამე არჩევნად წარმოაჩინა თავი. „მთავარია, საზოგადოება ყველაფერს გულდასმით დააკვირდეს, რომ ვერცერთმა ფსევდოშუაშისტურმა პარტიამ 5-პროცენტიანი ბარიერიც კი ვერ გადალახოს“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ოპონენტები ქართულ ეკლესიას გამიზნულად ესხმიან თავს და მზად არიან, საქართველო რუსეთთან ომშიც ჩაითრიონ

- პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებამდე, ირაკლი კობახიძე ტელეკომპანია იმედს ესტუმრა და განაცხადა, რომ “ვანდალიზმი წმინდა სამების

საკათედრო ტაძარში" და შობის 7 იანვარს აღნიშვნასთან დაკავშირებით საკითხის წამოჭრა ეკლესიის დისკრედიტაციას ემსახურებოდა. კობახიძე გამოეხმაურა გიორგი კანდელაკს, „სოვლაბის" წარმომდგენელს, რომელმაც სოციალურ მედიაში სტალინის ხატის ვიდეო გამოაქვეყნა და ნატა ფერაძეს, რომელმაც პროტესტის ნიშნად ხატს საღებავი შეასხა. კობახიძემ აღნიშნული მოვლენებსა და ბოლშევიზმის ასი წლის წინანდელ ისტორიასთან პარალელი გაავლო და აღნიშნა, რომ „ამ ხალხს" არ მოსწონს ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესია საზოგადოების ნდობით სარგებლობს და ისინი მიზნად ისახავენ, ეროვნული იდენტობა დააკნინონ. "არ შეიძლება ბოლშევიზმი საქართველოში სარგებლობდეს რაიმე წარმატებით", - განაცხადა კობახიძემ და განმარტა, რომ მმართველი პარტია თავს ვალდებულად თვლის, დაიცვას ეკლესია და მისი ინტერესები.

- ტელეკომპანია იმედის იმავე გადაცემის ფარგლებში, კობახიძე ირწმუნებოდა, რომ „ქართული ოცნების" პოლიტიკური ოპონენტებს მხოლოდ საქართველოს უკრაინის მსგავს სიტუაციაში ჩაგდება შეუძლიათ. მისი განცხადებით, საზოგადოებას არჩევანი არა „ომის პარტიის", არამედ მშვიდობისა და ეკონომიკური განვითარების სასარგებლოდ უნდა მიეღოთ. ამასთანავე, კობახიძემ განაცხადა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა" და „მის სატელიტებს" უკრაინაში ომის დაწყებამდე რომ მოეპოვებინათ ძალაუფლება, ისინი ყველაფერს მოიმოქმედებდნენ, რასაც მმართველი პარტიისგან ითხოვდნენ, მათ შორის სანქციებს დააწესებდნენ, რუსეთის წინააღმდეგ უკრაინაში მოხალისეებს გაუშვებდნენ და მოსკოვთან ურთიერთობისას მკაცრი რიტორიკით იხელმძღვანელებდნენ, რაც საქართველოს „უკრაინიზაციით" დასრულდებოდა.

პროკრემლინურმა პროპაგანდამ კობახიძის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა კონსერვატიულ ფასეულობებზე თავდასხმად შეაფასა

- პროპაგანდისტი „ალტ-ინფოზე" ირწმუნებოდა, რომ ბიძინა ივანიშვილს არ სჭირდება კონსერვატიული/ეროვნული ინტერესების დამცველი პოლიტიკური ფიგურები, შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ირაკლი ღარიბაშვილს სწორედ ამ მიზეზით დაატოვებინა და მის ნაცვლად დანიშნა ლიბერალურ ღირებულებებთან მეტ-ნაკლებად ასოცირებული ირაკლი კობახიძე - მმართველი პარტიის იმ ნაწილის წარმომადგენელი, რომელიც ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებას უძღვებოდა. აქედან გამომდინარე, ივანიშვილის მიერ "მასზე ფსონის დადება" ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება ეროვნული კონსერვატიული ინტერესების გატარებას მიზნად არ ისახავს.





- იგივე პროპაგანდისტის თქმით, ირაკლი კობახიძის დანიშვნა ბიძინა ივანიშვილსა და ბრიუსელის ხელმძღვანელობას/ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შორის გაფორმებული შეთანხმების ნაწილი იყო, გაენეიტრალებინათ საქართველოს კონსერვატიული ფლანგი. პროპაგანდისტის მტკიცებით, აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დასავლეთში აღარავინ საუბრობს "დეოლიგარქიზაციაზე" მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების" ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს, თუმცა არ იკავებს ოფიციალურ სახელისუფლებო თანამდებობას.
- „ალტ-ინფოს" ერთ-ერთმა წამყვანმა გაიხსენა ფაქტი, როდესაც რამდენიმე წლის წინ, „კოჰაბიტაციის" გამოცხადების შემდეგ, ირაკლი კობახიძე ამბობდა, რომ „ქართულ ოცნებას", დასავლეთის დავალებით, „მხრებით უნდა ეთრია" „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". აღნიშნული ფაქტით წამყვანი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ირაკლი კობახიძე დასავლეთს ემორჩილება, ხოლო მისი პრემიერ-მინისტრად დანიშვნა სწორედ დასავლეთის დაკვეთა იყო, რომლითაც მიზნად ისახავს, საქართველოში ლიბერალური დღის წესრიგი დაამყაროს.
- „ალტ-ინფოს" გადაცემაში, „კონსერვატიული მოძრაობის" წევრი ირწმუნებოდა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ლიბერალური დღის წესრიგის დამყარებაში „ქართული ოცნება" ჩაანაცვლებს, რაც უკვე გამოიხატა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, გაეთავისუფლებინა ღარიბაშვილი, კონსერვატიული ფიგურა, და დაენიშნა პირი, რომელსაც ეროვნული იდენტობა არ ესმის.
- „ალტ-ინფოზე" მორიგი პროპაგანდისტის თქმით, ქართველ კონსერვატორებს არა ევროპა, არამედ მათ მიერ მხარდაჭერილი კანონები და ნორმები სძულთ, მათ შორის ლგბტქი+ თემისა და იმიგრანტების გაძლიერების პოლიტიკა, რომლებიც, მისივე შეფასებით, ევროპას ასუსტებს.
- ნიკოლოზ მჟავანაძე, „ტელეკომპანია სეზონის" წამყვანი და ცნობილი პრორუსულად განწყობილი პროპაგანდისტი, ირწმუნებოდა, რომ დასავლეთმა საქართველოში „ეროვნული ღირებულებების მატარებელ ძალაუფლებებს", მათ შორის "კონსერვატიულ მოძრაობას", ომი გამოუცხადა. აღნიშნული მტკიცების დასადასტურებლად მან მოიხმო ისეთი ფაქტები, როგორებიცაა „„„ალტ-ინფოსა" და „ტელეკომპანია სეზონის" დახურვის მცდელობები, მათი საბანკო ანგარიშების გაყინვა და „კონსერვატიული მოძრაობის" ტერორისტულ დაჯგუფებად შერაცხვა".
- პროკრემლინურ ვებგვერდ „ისარზე" გამოქვეყნებულ სტატიაში ავტორმა ქარხნების, ინდუსტრიული საწარმოების, სოფლის მეურნეობისა და სხვა მრავალი სექტორის განადგურებაში დასავლეთი და მასთან 30-წლიანი ურთიერთობა დაადანაშაულა. „საბჭოთა კავშირის" დაშლისა და დასავლეთთან პარტნიორობის დამყარების შემდეგ საქართველოს დაღმასვლის ხაზგასასმელად ავტორმა აღწერა, თუ როგორ ასწავლიან „საბჭოთა კავშირის დროს სამაგალითო უმაღლეს სასწავლებლებში" დღეს ოფიციანტობას და როგორ დაინგრა სოფლის მეურნეობის უნიკალური შენობა სასტუმრო „ჰილტონის" ასაშენებლად.

პროპაგანდა მოსკოვს აქებს და აცხადებს, რომ საქართველოსთვის საუკეთესო ალტერნატივა რუსეთთან მოკავშირეობაა

- ნიკოლოზ მჟავანაძე, „ტელეკომპანია სეზონის“ წამყვანი და პრორუსული პროპაგანდისტი, ირწმუნება, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას, დაეტოვებინა საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, წინ უძღოდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ვიზიტი ჩინეთში, რომელსაც პარტიის ლიდერი ირაკლი კობახიძე ხელმძღვანელობდა. პროპაგანდისტის ვარაუდით, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მთავრობას რუსეთთან ოფიციალური კომუნიკაცია არ აქვს, მასთან დიალოგი მესამე მხარის დახმარებით აწარმოეს. მისი თქმით, ამიერიდან საქართველოს მთავრობა პროდასავლურ კურსს შეცვლიდა.
- „ტელეკომპანია სეზონის“ პროპაგანდისტი აგრეთვე ხაზს უსვამდა, რომ რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინებას ეწინააღმდეგება და მართლმადიდებელ ეკლესიას იცავს. ის ამტკიცებდა, რომ საქართველო აშშ-ს დირექტივებს თავს ვერ აარიდებდა, თუნდაც შედეგად ქართული ეკლესიის წინააღმდეგ წასულიყო.
- იმავე პროპაგანდისტის განცხადებით, საქართველომ უნდა უარყოს დასავლეთის მიზნები და დირექტივები, არანაირი სარგებლის მიღების რისკის ნაცვლად კი აქტიურად უნდა ითანამშრომლოს რუსეთთან.
- ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, საბჭოთა განათლების სისტემა საქართველოში არ იყო ისეთი უარყოფითი და ანტიქართული, როგორც ხშირად წარმოაჩენენ. აღნიშნულის დასადასტურებლად მან ეროვნული საგანმანათლებლო პრაქტიკა დაასახელა და პარალელი გაავლო საბჭოთა პერიოდსა და ბოლო 30 წელს შორის.
- პროპაგანდისტული წყაროებზე გამოქვეყნებული ანგარიშების თანახმად, რუსეთის ეკონომიკურმა ზრდის ტემპმა 3.5%-ს გადააჭარბა, მსოფლიოს საფინანსო ორგანიზაციების გამოთვლით. რუსეთის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტექნოლოგიები, ავტოინდუსტრია, მშენებლობა და სხვა სექტორები ამჟამად შიდა წარმოებას ექვემდებარება იმპორტირების ნაცვლად, რაც ნიშნავს, რომ რუსეთი კვლავ ვითარდება დასავლეთის მცდელობების მიუხედავად, ძირი გამოეთხარა ქვეყნისთვის. პროპაგანდისტული წყარო განმარტავს, რომ ქართველებმა არ იციან რუსეთის ბოლოდროინდელი პროგრესი, რადგან ხელისუფლებამ მოსახლეობას რუსული სატელევიზიო პროგრამების ნახვა აუკრძალა, რაც უარყოფითად აისახება საქართველოს მოსახლეობის განათლებაზე, საღ განსჯასა და ცოდნაზე.

პრორუსული პროპაგანდა მმართველი პარტიის რიტორიკით სარგებლობს, ირწმუნება, რომ USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამების მიზანი საქართველოსთვის ძირის გამოთხრაა

- პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის განცხადებას, რომლის თანახმადაც "ადამიანი, რომელიც გამოირჩევა რელიგიური შეუწყნარებლობით, ახერხებს ამერიკული დაფინანსების მიღებას", „კონსერვატიული მოძრაობისა" და „ალტ-ინფოს" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ მახარაძე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ USAID-ის მიერ დაფინანსებული სამოქალაქო პროგრამები გამიზნულად ცდილობენ ქართული ეროვნული ინტერესებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მოწინააღმდეგე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.
- მახარაძე აგრეთვე ირწმუნებოდა, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მტრულად განწყობილ არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებს, რათა საქართველოში ომი გააჩაღოს, უკრაინის მსგავსად.
- პრორუსული „ალტ-ინფოს" წევრის მსგავსი მტკიცების თანახმად, აშშ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწინააღმდეგეებს ფინანსურად უჭერს მხარს. პროპაგანდისტის თქმით, USAID-მა მარტის გამოსვლები მოაწყო და კვლავ განაგრძობს ქვეყანაში ბავშვების გარყვნისა და გამანადგურებელი ძალაუფლებების დაფინანსებას.
- „ტელეკომპანია სეზონის" ხშირი სტუმარი და პრორუსულად განწყობილი პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ აშშ-ს საელჩოს ყოფილი ინტერპრეტატორი ამერიკული სპეციალური სამსახურების ქართველ აგენტებს ხელფასს უხდიდა. მისი თქმით, ინტერპრეტატორი საელჩოს ფინანსებს ქართული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს ურიცხავდა, მათ შორის თინა ხიდაშელს, დავით უსუფაშვილს, გიგა ბოკერიას, გიორგი მარგველაშვილს, ბათუ ქუთელიასა და სხვა მრავალს.
- პრორუსული წყაროს „GeWorld" სტატიის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ხელისუფლების ფორმირებასა და ახალი მინისტრების დანიშვნის პროცესში მონაწილეობას მიიღებს. ნარატივი ირწმუნება, რომ ბიძინა ივანიშვილს კარგი ბიზნეს პარტნიორების შერჩევა შეუძლია, თუმცა ხელისუფლებაში საქართველოს ინტერესებისა და ეროვნული ღირებულებების მოწინააღმდეგე პირები ბევრჯერ დაუნიშნავს, რადგან ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" აშშ-ს ინსტრუქციებს ექვემდებარებიან და თავისუფლად ვერ ირჩევენ მთავრობის წევრებს. ამერიკის შეერთებული შტატები რომ არ ერეოდეს, ივანიშვილი არ მიიღებდა ანტიდისკრიმინაციულ კანონს, აღკვეთდა ლგბტქი+ შეხვედრებს, წინა მთავრობის წარმომადგენლებს დააპატიმრებდა, ექს-პრეზიდენტ სააკაშვილს ციხეში გადაიყვანდა და რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებდა.
- ნიკოლოზ მჟავანაძისთვის, „ტელეკომპანია სეზონის" წამყვანისა და პრორუსულად განწყობილი პროპაგანდისტისთვის, აშშ-სა და საქართველოს შორის მეგობრული დამოკიდებულება საეჭვოა. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაციები მტრულად განწყობილ

პარტიებს აფინანსებენ და პროვოკაციებს აჩაღებენ, აშშ არ უნდა აღიქმებოდეს მოკავშირედ.

- მჟავანაძე ირწმუნებოდა, რომ საქართველომ დასავლური კურსი უნდა შეცვალოს, რადგან აშშ-ში მალე სამოქალაქო ომი დაიწყებოდა. მისი მტკიცებით, ტეხასსა და ფედერალურ ბიუროს შორის დაპირისპირების, არალეგალური იმიგრაციის, მასობრივი სროლებისა და კრიმინალური აქტივობების გამო ამერიკის შეერთებული შტატები რთულ მდგომარეობაშია. შესაბამისად, აშშ-თან ახლო ურთიერთობა საქართველოსთვის სარგებლიანი არ იქნება.
- ტეხასის გუბერნატორის, გრეგ ებოტის მცდარ განცხადებაზე („ჩვენ ვემზადებით ფედერალურ მთავრობასთან პირდაპირი შეიარაღებული კონფლიქტისთვის“) დაყრდნობით, პროკრემლინური სოციალური მედიის ანგარიშები ირწმუნებოდნენ, რომ აშშ სამოქალაქო ომის პირასაა.
- „ალტ-ინფოს“ გადაცემის სტუმრის თქმით, დასავლეთმა იცოდა, რომ საქართველოს იარაღითა და სამხედრო ძალით ვერ დაიმონებდა, შესაბამისად, ქვეყანა ფინანსურ დაწესებულებებს დაუქვემდებარა. 1990-იან წლებში საქართველოს “ამერიკიზაციისა და დემოკრატიზაციის” ფარგლებში მალევე შეიქმნა ბანკები, რათა საქართველოს მოსახლეობა მათზე დამოკიდებული გამხდარიყო. შესაბამისად, ქართველმა ხალხმა ყურადღება სამშობლოს დაცვიდან გადასახადებისა და ვალების გადახდაზე გადაიტანა. მისი თქმით, აშშ-ს საელჩომ ქართველები კაპიტალისტურ ცხოვრების წესს გააცნო მცდარი დაპირებით, რომ ეს უკანასკნელი მათ ცხოვრებას გააუმჯობესებდა, თუმცა რეალურად დაიქვემდებარა.